ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№EU/ADM/01

ქ. თბილისი 5 იანვარი 2011წ.

ერთის მხრივ, სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და ხელოვნური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (მისამართი: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. №23, II კორპუსი, საიდენტიფიკაციო კოდი №211327580, საბანკო რეკვიზიტები: „ბანკი რუსეთი", ბანკის კოდი: 220101757, ა/ა №40251545506) მისი აღმასრულებელი დირექტორის ბ-ნ ივანე ყაჭიურის სახით (შემდგომში „შემსყიდველი")
მეორეს მხრივ: შ.პ.ს. "ვიქტორია სექიურითი" (მისამართი: ქ.თბილისი, ნიქოფანის ქ.№2, საიდენტიფიკაციო კოდი 205119762, საბანკო რეკვიზიტები: სს „პროკრედიტბანკი", ბანკის კოდი 220101922, ა/ა 36020101240002 0) მისი დირექტორის რევაზ კობიძის სახით (შემდგომში „**მიმწოდებელი**") თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია ევროკავშირის გრანტით (№TACIS/2007/147562) დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის" ფარგლებში ცენტრის ოფისის დაცვის მომსახურება, რომელიც განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის გზით.

1.2. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ცენტრის ოფისის დაცვა ცენტრალური სამეთვალყურეო პულტის (შემდგომში ცსპ) საშუალებით. „შემსყიდველი" გადასცემს, ხოლო „მიმწოდებელი" იღებს დაცვის ქვეშ ცსპ-ზე ცენტრის ოფისს, შემდეგ მისამართზე: სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და ხელოვნური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი", მისამართი: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №23, II კორპუსი.

2. „მიმწოდებლის" ვალდებულებები

2.1. უზრუნველყოს „შემსყიდველის" ობიექტის დაცვა ცსპ-ს საშუალებით სიგნალიზაციაზე აყვანიდან მის მოხსნამდე.

2.2 უზრუნველყოს „შემსყიდველის" ობიექტზე დანერგილი დაცვითი სასიგნალო მაუწყებელი გადამწოდის გამართული მუშაობა.

2.3. სიგნალ "განგაში"-ს მიღებისას გამოცხადდეს ობიექტზე 5 წუთში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა აღკვეთა-აცილების მიზნით.

2.4. გამოიძახოს „შემსყიდველი" ან პასუხისმგებელი პირი ცსპ-ზე სიგნალი "განგაში"-ს დაფიქსირების შემთხვევაში ობიექტის გასახსნელად, სიგნალის მიზეზის დასადგენად და ობიექტის ხელმეორედ დაცვაზე ასაყვანად. გამოუცხადებლობის შემთხვევაში „მიმწოდებელი" იხსნის პასუხისმგებლობას დამდგარ შედეგზე. „შემსყიდველი" ვალდებულია გამოცხადდეს ერთი საათის განმავლობაში;

2.5 იმ შემთხვევაში, თუ ცსპ-ზე დაფიქსირდა სიგნალი განგაში, სიგნალიზაციის გაუმართაობის გამო დააყენოს ცოცხალი „მიმწოდებელი" ობიექტის გახსნამდე.

2.6. ქონების დაზიანების ან სხვა ინციდენტის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს პოლიციის სათანადო სამსახურებს და მათ მოსვლამდე უზრუნველყოს შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა.

2.7. დაცვის ბრალეულობით გამოწვეული ზარალი ანაზღაურდება კანონით დადგენილი წესით.

3. „შემსყიდველის" ვალდებულებები

3.1. გაუფრთხილდეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ობიექტის დაცვისათვის ტექნიკურ საშუალებებს და უზრუნველყოს მათი ხელშეუხებლობა. მკაცრად დაიცვას სიგნალიზაციის ექსპლოატაციის წესები, არ შეიტანოს ცვლილებები ობიექტის ბლოკირების და კვების სქემაში. არ შეცვალოს ხელსაწყოები და სასიგნალო მაუწყებელი გადამწოდები.

3.2. სამუშაო დღის დამთავრებისას დარწმუნდეს, რომ ობიექტზე არ იმყოფებიან გარეშე პირები, არ მიატოვოს ობიექტი გაუმართავი სიგნალიზაციის შემთხვევაში დაცვის თანამშრომლების მოსვლამდე, შემდეგ ჩართოს დამცავი სიგნალიზაცია, შიფრი დააყენოს დაცვის რეჟიმში, ჩააბაროს „მიმწოდებელ"-ს და ცენტრალიზებული დაცვის პულტს, აიღოს დათქმული სიტყვა (პაროლი) და დარწმუნდეს, რომ ობიექტი ნამდვილად აყვანილია დაცვაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მიყენებულ ზარალზე "„მიმწოდებელი"" პასუხისმგებლობას არ კისრულობს.

3.3. ობიექტის კაპიტალური შეკეთების ან სხვა სამუშაოების დაწყების თაობაზე „მიმწოდებელს" აცნობოს 15 დღით ადრე, ხოლო სამუშაოების ჩატარებისას (თუ საჭიროა სიგნალიზაციის საშუალებათა გამოთიშვა) დროებით მოხსნას იგი დაცვიდან და არ ჩააბაროს მანამ, ვიდრე არ მოხდება დაზიანებული სიგნალიზაციის საშუალებების აღდგენა.

3.4 იმ შემთხვევაში, თუ ობიექტზე ინახება ფულადი თანხა 1000 (ათასი) ლარზე მეტი ოდენობით, ნაღდი ფული შენახული იქნეს სპეციალურ სეიფში, რომელიც ცალკე ჩაბარდება ცსპ-ს.

3.5 შეუქმნას „მიმწოდებელს" პირობები "განგაშის" სიგნალზე დაცვის ობიექტთან მისასვლელად გარედან დასათვალიერებლად და სიგნალიზაციის ამოქმედების მიზეზების დასადგენად.

3.6 ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ობიექტზე სიგნალიზაციის სისტემების დაცვასთან შეუთანხმებლად გათიშვის შემთხვევაში „შემსყიდველი" დაჯარიმდება ყოველთვიური საბონუსო თანხის სამმაგი ოდენობით, ხოლო „მიმწოდებელი" პასუხს არ აგებს დამდგარ შედეგზე.

3.7 არ გაანდოს უცხო პირებს დაცვის ტექნიკური საშუალებებით სარგებლობის წესები, ობიექტზე მიცემული პირობითი ნომერი და ყოველდღიური პაროლი.

3.8 საჭიროების შემთხვევაში მხარეების მიერ შედგენილი ობიექტის მოკვლევის აქტით შეთანხმების შესაბამისად შექმნას სათანადო პირობები მატერიალურ ფასეულობათა საიმედო შენახვისათვის. „შემსყიდველის" მიერ ორმხრივი აქტით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში „მიმწოდებელი" მიყენებულ ზარალზე პასუხისმგებლობას არ კისრულობს (აქტი ხელშეკრულებას თან ახლავს).

3.9 „შემსყიდველი" ვალდებულია ყოველი "ცრუ განგაში"-ს შემთხვევაში გადაიხადოს საჯარიმო თანხა 30 ლარის ოდენობით. სამ თვეში დაიშვება ერთი ასეთი შემთხვევა საჯარიმო სანქციის გარეშე.

3.10 „შემსყიდველი" პასუხისმგებელია ობიექტზე ელექტროენერგიის უწყვეტ მომარაგებაზე (კერძოდ: „შემსყიდველის" ობიექტზე ელექტროენერგიის გაუთვალისწინებელი გათიშვის, გადაუხდელობით გათიშვის და დაუდევრობით გათიშვის შემთხვევაში), „მიმწოდებელი" პასუხისმგებელია ელექტროენერგიის შეწყვეტის შემთხვევაში 12 საათის განმავლობაში გამართულ მუშაობაზე, რის შემდეგაც „შემსყიდველი" უზრუნველყოფს გენერატორით დამუხტვას ან აკუმულატორის შესყიდვას.

3.11 „შემსყიდველი" ბრალეულობით გამოწვეული ზარალი ანაზღაურდება კანონით დადგენილი წესით.

3.12 „შემსყიდველის" მიერ 4.2 მუხლის ერთი თვით გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელი" იხსნის პასუხისმგებლობას, ხოლო „შემსყიდველი" არ თავისუფლდება ფინანსური ვალდებულებებისაგან

3.13 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს ევროკავშირის პროექტის შესყიდვების უფროსი სპეციალისტი ნატო დვალი, რომელიც უზრუნველყოფს „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ"

დებულების 26-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებას და გაწეული მომსახურების (მოლიანი ან/და ნაწილობრივი) მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას დადგენილი წესის შესაბამისად.

4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

4.1 პუნქტში მითითებული თანხა მოიცავს ყველა იმ გადასახადსა და მოსაკრებელს, რომელიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, გარდა დამატებული ღირებულების გადასახადისა. შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 29 ივნისის №21-15-14040/01 წერილის თანახმად, ხელშეკრულების 1.1 პუნქტში მითითებული პროექტი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან.

4.2. ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენს 300.00 (სამასი) ლარს. ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენს 100 (ასი) ლარს.

4.3. ხელშეკრულების ღირებულება არ ითვალისწინებს დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდას.

4.4. ანგარიშსწორება წარმოებს ყოველთვიურად. „შემსყიდველი" მომსახურეობის შესაბამის თანხას „მიმწოდებელ"-ს გადაუხდის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

5. ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან ფორს-მაჟორული შემთხვევების დროს: ომი, საომარი მდგომარეობა ქვეყანაში, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება და რაც დადასტურდება შესაბამისი ორგანოების მიერ.

6. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

6.1. მხარეები შესაძლო დავებს არეგულირებენ მოლაპარაკების გზით.

6.2. მოლაპარაკების გზით დავის დარეგულირების შეუსრულებლობისას დავა გადაეცემა სასამართლოს .

6.3. ობიექტის პასუხისმგებელი პირის არყოფნის შემთხვევაში ინტერესების წარმოდგენა ეკისრება ნდობით აღჭურვილ პირს ცენტრის მომმართველი - გრიგოლ გაფრინდაშვილს, რომელზეც უნდა გაიცეს კანონით დადგენილი წესით უფლების გადაცემის დოკუმენტი, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

6.4. ობიექტთან მისასვლელი ქუჩებისა და მიმდებარე ტერიტორიის სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე გადაკეტვის განხორციელების დროს ხელშეკრულების 2.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობის შესრულებაზე „მიმწოდებელი" პასუხისმგებლობას არ კისრულობს.

7. ხელშეკრულების ვადები

7.1. აღნიშნული ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან 2011 წლის 31 მარტის ჩათვლით.

7.2 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში ხორციელდება მხარეთა წერილობით შეთანხმებით და დასტურდება მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერებით;

7.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვიტოს რომელიმე მხარემ ცალმხრივად იმ შემთხვევაში, თუ მხარე სისტემატიურად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შესახებ იგი აცნობებს მეორე მხარეს, ხელშეკრულების შეწყვეტამდე ერთი თვით ადრე. შეუთანხმებლად ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში "მხარე" დაჯარიმდება ყოველთვიური საბანკო თანხის სამმაგი ოდენობით;

7.4 ხელშეკრულების მოქმედების ვადა შეიძლება შეწყვიტოს რომელიმე მხარემ, თუ იგი აცნობებს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტამდე წერილობით ერთი თვით ადრე.

8. სხვა პირობები

8.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

8.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ინახება „მიმწოდებელთან", ორი „შემსყიდველთან". ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

8.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი"	*შპს "ვიქტორია სერვისი"*
ქ. თბილისი, 0160 ალ. ყაზბეგის გამზ. №23, კორ. 2 ს/კ 211327580 ბანკი "რესპუბლიკა" ბ/კ 220101757 ა/ა 102531545506	ქ. თბილისი, ჩიქოვანის ქ.№2 ს/კ 205119762 სს „პროკრედიტბანკი" ბ/კ 220101922 ა/ა 360201012400020 ტელ: 45-40-45, 36-54-04
აღმასრულებელი დირექტორი	დირექტორი
/ [illegible] ქადური /	/ [illegible] კობიძე/